



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 68

„22“ ნოემბერი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვაზე
თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან გამოაცხადოს უპირობო აუქციონი სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ გულგულაში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთის 15 წლის ვადით განკარგვაზე (ს/კოდი №53.09.34.109, 108 058 კვ.მ, წლიური საიჯარო ქირის საწყისი ღირებულება 1980 ლარი, ბილეთის ფასი 30 ლარი, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია მის მიერ აუქციონზე სარგებლობის უფლებით აღებული ქონების 1 წლის საიჯარო ქირა გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქალაქი თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



Handwritten signature

პაატა გიორგობიანი